ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03.05/6 .

ს. განთიადი 17 თებერვალი 2015 წელი

ერთის მხრივ **სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ კეკელიძის** სახით და მეორეს მხრივ შპს ,,**ივიჯი**“ წარმოდგენილი დირექტორის **ედნარ გელაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის წესით CPV კოდი 30200000) სახელმწიფო შესყიდვაზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ“ (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია **კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგის** შეძენა (CPV კოდი; 30200000).

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **400,45 (ოთხასს ლარს და 45 თეთრს)**

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.(**საფუძველი - სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 15/01/2015წ.)**

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

5.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედდებულის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

--------------------------- ---------------------------

შემსყიდველი მიმწოდებელი

GEORGIA. "EVG" LTD 245439271

5.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.
7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.
7.3. 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია 5.5. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
7.5. მიმწოდებლის მიერ 7.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის ან/და წუნდებული საქონლის შეცვლისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის ბუღალტერი გვანცა კომახიძე.
8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

14.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
14.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
14.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა
საქართველო,ხელვაჩაური, სოფ. განთიადი
ს/კ 248386660
,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბათუმის ფ-ლი
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE63VT5500000002563608
ტელ: 591 05 53 28
დირექტორი: ----------
/ზ.კეკელიძე/

მიმწოდებელი:
შპს ,,ივიჯი"
საქართველო, ბათუმი ჭავჭავაძის ქ. N 66
ს/კ: 245439271
ს.ს.,,საქართველოს ბანკი" ბათუმის ფ-ლი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE05BG0000000118402800
ტელ: 599 58 98 19; 271749

დირექტორი: ----------
/ჯ.გელაძე/

EVG GEORGIA "EVG" LTD 245439271

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3

№	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	საერთ.ფასი (ლარი)	CPV	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	**panasonik kx**	ცალი	1	62	62	3020000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
2	**panasonik kx**	ცალი	1	202	202	3020000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
3	**A DATA S102**	ცალი	1	21	21	3020000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
4	საქაღალდე	ცალი	4	4,3	17,20	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
5	კალამი	ცალი	1	0,60	0,60	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
6	კალგულატორი	ცალი	1	8,30	8,30	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
7	მარკერი ტექსტის	ცალი	1	0,80	0,80	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
8	ქაღალდი A 4	ცალი	1	9	9	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
9	PTF KAT5E	ცალი	60	0,9	54	3020000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
10	RJ-45 CABLE CONEQTOR	ცალი	10	0,20	2	3020000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
11	რვეული	ცალი	5	1,43	7,15	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
12	მარკერი	ცალი	2	0,70	1,40	30100000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
13	პრინტერის შეკეთება	ცალი	1	15	15	30200000	ზედა განთიადი	15.01.2015 წელი
	ჯამი:				400,45		ზედა განთიადი	15.01.2015 წელი

ოთხასი ლარი და 45 თეთრი

შპს ივიჯის დირექტორი: /ე. გელაძე/

EVG

GEORGIA "EVG" LTD 245439271

მიღება-ჩაბარების აქტი

ს.განთიადი

17 თებერვალი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კეკელიძის სახით (შემდგომში „მიმღები") ხოლო, მეორეს მხრივ, შპს ივიჯი მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით (შემდგომში „ჩამბარებელი") ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „ჩამბარებელმა" გადასცა, ხოლო მიმღებმა ჩაიბარა სახელმწიფო შესყიდვების N03.05/0 ხელშეკრულების თანახმად „**კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი" 400,45 ლარის ღირებულების**

აქტი სწორია, რაზედაც ხელს ვაწერთ:

„მიმღები"

----------/ზ.კეკელიძე/

„ჩამბარებელი"

----------/ე. გელაძე/

EVG

თარიღი: 05/02/2015
დოკუმენტის №: 825

გადამხდელი: სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 248386660
მისამართი: ხელვაჩაური, სოფ.განთიადი
ტელეფონი: 577 10 39 88

№	დასახელება	შენახვის ადგილი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	ნაშთი
1	პრინტერის შეკეთება		სხვა	1.00	15.00	15.00	

ჯამი: 15.00

ფასდაკლება: 0.00

ჯამი სულ: 15.00

სერგო ჭახნაკია

უნაღდო

EVG
245439271
GEORGIA. "EVG" LTD

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0159333366

2	17/02/2015	3	11:02:57
	თარიღი (რიცხვი. თვე. წელი)		დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ივიჯი	245439271	5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა	248386660
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი		მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით	7	ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის N66
				ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
			8	ხელვაჩაური, სოფ.განთიადი
				ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	სხვა	10	X	
	ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	მისამბული

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0
					თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	Panasonic KX-FAT411A7 Toner Cartridge for KX-MB1900UCB, 2000 pages	684	ცალი	1.0000	62.0000	62.0000
2	Panasonic KX-FAD412A7 Drum Unit for KX-MB1900UCB, 6000 pages	683	ცალი	1.0000	202.0000	202.0000
3	A-Data S102 PRO (AS102P-8G-RGY) 8GB Flash Drive USB 3.0 Titanium Grey	89858	ცალი	1.0000	21.0000	21.0000

13	285 - ორას ოთხმოცდახუთი ლარი და ნული თეთრი
	მიწოდებული საქონლის მოლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	გულნარა დიასამიძე	15	ზურაბ კვესელიძე
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
16		17	
	ხელმოწერა		ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	17/02/2015	15:50:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე. დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 14/05/2015, 15:59:40

შპს ევიჯი
ს.კ: 245439271
ბათუმი, ჭავჭავაძის N66
ტელ. : 271749; 222811
evg@evg.ge

აქტი შესრულებულ სამუშაოზე

თარიღი: 17/02/2015
დოკუმენტის №: 1113

გადამხდელი: სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 248386660
მისამართი: ხელვაჩაური, სოფ.განთიადი
ტელეფონი: 577 10 39 88

№	დასახელება	შენახვის ადგილი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	ნაშთი
1	პრინტერის შეკეთება		სხვა	1.00	15.00	15.00	

ჯამი: **15.00**

ფასდაკლება: **0.00**

ჯამი სულ: **15.00**

EVG

კორექტირების თარიღი: 19/02/2015 10:46:15

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0159529675

2	18/02/2015		3	11:57:57	
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)			დრო (საათი, წუთი)	

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ივიჯი	245439271	5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა	248386660
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი		მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის N66
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
8	ხელვაჩაური, სოფ.განთიადი
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	სხვა	10	X	
	ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	მისამბილი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საქაღალდე 30-ფაილიანი (8753)	5553	ცალი	5.0000	1.7000	8.5000
2	საქაღალდე 40-ფაილიანი (8754)	5552	ცალი	1.0000	2.1000	2.1000
3	საქაღალდე 80-ფაილიანი (8756)	826	ცალი	1.0000	5.0000	5.0000
4	საქაღალდე სწრაფწამკერი ცელოფნის	794	ცალი	4.0000	0.4000	1.6000
5	კალამი Stabilo Excel 828M1041	90340	ცალი	1.0000	0.6000	0.6000
6	კალკულატორი Canon KC-30 შავი	2736	ცალი	1.0000	8.3000	8.3000
7	მარკერი ტექსტის Fluorescent	5436	ცალი	1.0000	0.8000	0.8000
8	ქაღალდი A4 Copy & laser Paper 80 g (500 ფ.)	1028	ცალი	1.0000	9.0000	9.0000

13	35.9 - ოცდათხუთმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი
	მიწოდებული საქონლის ძირითადი თანხა (ციფრებით და სიტყვერად)

14	ქეთევან წითელაძე	15	ზურაბ გეგელიძე
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
16		17	
	ხელმოწერა		ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	18/02/2015	18:40:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 14/05/2015, 16:19:44